

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის



უმაღლესი საბჭოს
უწყებები

№ 2 (59)

თეატრალი-მეკრი

1954 წელი

შ ი ნ ა ა რ ს ი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი და დადგენილებანი

- 17. ბრძანებულება საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სამინისტროს შექმნის შესახებ.
- 18. ბრძანებულება ამხ. ი. ნ. ლალიძის დანიშვნის შესახებ საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის მინისტრად.
- 19. ბრძანებულება ამხ. მ. ე. თოფურაძის განთავისუფლების შესახებ საქართველოს სსრ სახელმწიფო კონტროლის მინისტრის თანამდებობისაგან.
- 20. ზუგდიდის რაიონის ინჟირის, ნარაზუნის და ჩხორობის მშრომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭოების მუშაობის შესახებ.
- 21. მრავალშვილიანი დედების დასაჯილდოებლად წარდგენისა და მათთვის ორდენებისა და მედლების ჩაბარების მდგომარეობის შესახებ საქართველოს სს რესპუბლიკაში.
- 22. ბრძანებულება ა. ს. გრიბოედოვის სახელობის თბილისის სახელმწიფო რუსული დრამატული თეატრის მუშაკათათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.
- 23. ბრძანებულება ა. ს. გრიბოედოვის სახელობის თბილისის სახელმწიფო რუსული დრამატული თეატრის მუშაკების დაჯილდოების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.
- 24. ბრძანებულება სახალხო მოსამართლის თანამდებობისაგან ი. მ. სიორაძის გამოწვევისა და ქ. თბილისის ლენინის სახელობის რაიონის პირველი უბნის სახალხო სასამართლოს საარჩევნო ოლქში არჩევნების დანიშვნის შესახებ.
- 25. ბრძანებულება ამხ. მ. პ. გიორგაძის განთავისუფლების შესახებ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილისა და საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის თანამდებობისაგან.
- 26. ბრძანებულება ამხ. გ. გ. თვალკრელიძის დანიშვნის შესახებ საქართველოს სსრ სახელმწიფო კონტროლის მინისტრად.
- 27. ბრძანებულება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული შრომითი რეზერვების მთავარსამმართველოს თბილისის სამსხმელო-მექანიკური ქარხნისათვის კამოს სახელის მიკეთების შესახებ.
- 28. ბრძანებულება ე. პ. დოღენკოსათვის საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.
- 29. ბრძანებულება ლაჯანურის, ტყიბულის, გუმათის ჰიდროელექტროსადგურებისა და სიონის წყალსაცავის მშენებლობების დასახლებული პუნქტების მუშათა დასახლების კატეგორიაზე მიკეთების შესახებ.
- 30. ბრძანებულება მახარაძის რაიონის მაკვანეთის სასოფლო საბჭოდან ანასეულის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დასახლებული პუნქტისა და სოფელი ეკადიის გამოყოფის და მახარაძის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოზე მათი აღმინისტრაციულად დაქვემდებარების შესახებ.

31. ბრძანებულება საქართველოს სსრ ხობის რაიონის ზოგიერთი დასახლების სოფლების ჯგუფზე მიკუთვნებისა და სახელწოდების მიცემის შესახებ.

32. ბრძანებულება საქართველოს სსრ გარდაბნის რაიონის სამშენებლო უბნის № 1 დასახლების სოფლების ჯგუფზე მიკუთვნებისა და გამარჯვების სასოფლო საბჭოს შექმნის შესახებ.

33. ბრძანებულება იმ პირთა დაჯილდოების შესახებ, რომლებმაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ქ. თბილისში მდინარე მტკვარზე დიდუბის ხიდის მშენებლობის საქმეში.

34. კანონმდებლობათა ცნობარის გამოცემის შესახებ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებისათვის.

35. ყვარლის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა კანონიერების შესახებ.

36. ქარელის, თეთრიწყაროს და საგარეჯოს რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების მფდმივი კომისიების მუშაობის შესახებ.

37. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელის და საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა სიგელების ნიშნულების დამტკიცების შესახებ.

38. დაჯილდოებულის გ. დ. ჩუბინიძის შუამდგომლობა სსრ კავშირის მედლის წიგნაკის დუბლიკატის მიცემის შესახებ.

39. დაჯილდოებულის ნ. უ. გულუას შუამდგომლობა ლენინის ორდენის დუბლიკატის მიცემის შესახებ.

40. ბრძანებულება მრავალშვილიანი დედების „სახელოვანი დედის“ ორდენებითა და „დედობის მედლის“ მედლებით დაჯილდოების შესახებ.

41. ბრძანებულება მრავალშვილიანი დედების „სახელოვანი დედის“ ორდენებითა და „დედობის მედლის“ მედლებით დაჯილდოების შესახებ.

42. ბრძანებულება მრავალშვილიანი დედების „სახელოვანი დედის“ ორდენებითა და „დედობის მედლის“ მედლებით დაჯილდოების შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი და დადგენილებანი

17. ბრძანებულება საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სამინისტროს შექმნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. შეიქმნას საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სამინისტრო საქართველოს სსრ წყალსამეურნეო ორგანიზაციათა ბაზაზე.

2. გადაეცეს საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სამინისტროს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროდან საწარმოები და ორგანიზაციები საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ დამტკიცებული სიის მიხედვით.

3. შეტანილ იქნას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მორიგ სესიის განსახილველად წინადადება საქართველოს სსრ კონსტიტუციის 50 და 56 მუხლებში სათანადო ცვლილების შეტანის შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის

თავმჯდომარე მ. ჩუბინიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს

პრეზიდიუმის მდივანი თ. ქვლივიძე.

ქ. თბილისი.

1954 წ. 3 თებერვალი.

18. ბრძანებულება ამხ. ი. ნ. ლალიძის დანიშვნის შესახებ საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის მინისტრად

დაინიშნოს ამხ. ილია ნიკიფორეს-ძე ლალიძე საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის მინისტრად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს

პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. ჩუბინიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს

პრეზიდიუმის მდივანი თ. ქვლივიძე.

ქ. თბილისი.

1954 წ. 3 თებერვალი.

19. ბრძანებულება ამხ. მ. ე. თოფურიძის განთავისუფლების შესახებ საქარ- თველოს სსრ სახელმწიფო კონტროლის მინისტრის თანამდებობისაგან

განთავისუფლდეს ამხ. მიხეილ ესტატეს-ძე თოფურიძე საქართველოს სსრ სახელმწიფო კონტროლის მინისტრის თანამდებობისაგან, მისი საქართველოს სსრ პროკურორად დანიშვნის გამო.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს

პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. ჩუბინიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს

პრეზიდიუმის მდივანი თ. ქვლივიძე.

ქ. თბილისი.

1954 წ. 23 თებერვალი.

20. ზუგდიდის რაიონის ინგირის, ნარაზენის და ჩხორიის მშრომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭოების მუშაობის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ ინგირის, ნარაზენისა და ჩხორიის მშრომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭოებს ჩატარებული აქვთ გარკვეული მუშაობა. საბჭოების სესიებზე და აღმასრულებელი კომიტეტების სხდომებზე განხილული აქვთ მნიშვნელოვანი საკითხები კოლმეურნეობის განმტკიცებისა და მოსავლიანობის გადიდების, მოსავლის აღების, კოლმეურნეობაში შრომის დისციპლინის განმტკიცების, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების, ფულადი სახსრების მობილიზაციის გეგმების შესრულებისა და სხვ.

ამასთანავე ერთად, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ შემოწმებულ სასოფლო საბჭოების მუშაობაში ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებს. ინგირისა და ნარაზენის სასოფლო საბჭოები სესიებს არ იწვევენ საქართველოს სსრ კონსტიტუციით დადგენილ ვადებში, სესიებზე დეპუტატების მნიშვნელოვანი რაოდენობა არ ესწრება. ინგირის სასოფლო საბჭოს სესია არჩევნების შემდეგ მოწვეული იყო სულ ოთხჯერ, ნაცვლად თერთმეტისა და სესიაზე დეპუტატების დასწრება არ აღემატებოდა 60 პროცენტს. სესიებზე საკითხების განხილვაში საბჭოს დეპუტატები ნაკლებად ლებულობენ მონაწილეობას, არ არის გაშლილი საბჭოს მუშაობის გასაუმჯობესებლად კრიტიკა და თვითკრიტიკა, სასოფლო საბჭოების მუდმივი კომისიები არ არიან გამოყენებული საბჭოს და აღმასკომის მუშაობაში, სუსტია მათი მონაწილეობა სესიების და აღმასკომის სხდომებზე საკითხების მომზადება-განხილვის საქმეში. საბჭოების სესიების და აღმასკომების სხდომებზე საკითხებს იხილვენ წინასწარ მოუმზადებლად, მიღებული გადაწყვეტილებანი არაკონკრეტულია, არ ექცევა ყურადღება მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების შემოწმებას; საბჭოების სესიების გადაწყვეტილებანი და ოქმები დაგვიანებით ფორმდება. ადგილი აქვს კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილებების გამოტანას, კოლმეურნეობის ფუნქციებში შექრას და დემოკრატიის უხეშად დარღვევის ფაქტებს — აღმასკომის წევრის გამოყვანას აღმასკომის შემაღვლლობიდან სესიის გადაწყვეტილების გარეშე.

ინგირის და ნარაზენის სასოფლო საბჭოებში მშრომელთა განცხადებებს იხილვენ დაგვიანებით და ზოგ შემთხვევაში სტოვებენ უყურადღებოდ. ნარაზენის სასოფლო საბჭოში კოლმეურნე ვ. პ. თოდუას განცხადება, ცალკე კომლად გამოყოფის შესახებ, 2 თვის შემდეგ განიხილეს, ხოლო საბჭოთა არმიელის ოჯახის, დ. კ. ბერიშვილის განცხადება, სახლის შეკეთებაზე და მის ოჯახზე შეღავათების გავრცელების შესახებ, საბჭოში შემოვიდა 1953 წ. 23 სექტემბერს და 5 თვის განმავლობაში განუხილავი იყო. საბჭოების სესიების და აღმასკომების სხდომებზე არ არის მოსმენილი მშრომელთა ყოფაცხოვრების გაუმჯობესების, ჯანმრთელობის დაცვის, განათლების, სოფლის კეთილმოწყობის, კანონიერების დაცვის და სხვა საკითხები. სუსტია საბჭოების ბრძოლა სოფლის მეურნეობის გარდატეხით გაუმჯობესების საქმისათვის.

ზუგდიდის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომი არასაკმარის ენმარება და ხელმძღვანელობს სასოფლო საბჭოებს, არჩევნების შემდეგ არც ერთხელ არ შეუმოწმებია ზემოაღნიშნული სასოფლო საბჭოების მუშაობა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. დაევალოს ინგირის, ნარაზენის და ჩხორის სასოფლო საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეებს: ამხ. ამხ. ნ. გ. გახარიას, მ. დ. ჯანელიძეს და ი. გ. აღშიბაიას, სასოფლო საბჭოების მუშაობის გაუმჯობესების მიზნით:

ა) უზრუნველყონ საქართველოს სსრ კონსტიტუციით დადგენილ ვადებში საბჭოების სესიების მოწვევა და მათი მაღალ იდეურ-პოლიტიკურ დონეზე ჩატარება; მთლიანად ჩააბან დეპუტატები საბჭოების მუშაობაში;

ბ) ხარისხიანად მოამზადონ სესიებზე და აღმასკომის სხდომებზე განსახილველი საკითხები დეპუტატების, მუდმივი კომისიებისა და საბჭოს აქტივის ფართო მონაწილეობით;

გ) განიხილონ საბჭოების სესიებზე და აღმასკომის სხდომებზე სოფლის მეურნეობის გაუმჯობესების, კოლმეურნეობების მუშაობის, საბჭოთა მეურნეობების, ჩაის ფაბრიკების მუშა-მოსამსახურეთა მატერიალურ-ყოფაცხოვრების და კულტურულ მოთხოვნილებებთან დაკავშირებული საკითხები და მიიღონ გადაწყვეტილებები არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

დ) გააძლიერონ კონტროლი და ხელმძღვანელობა ვაჭრობის წესების მტკიცედ დაცვისათვის და გააუმჯობესონ მშრომელთა კულტურული მომსახურება;

ე) გარდაქმნან სასოფლო საბჭოების აღმასკომების და მუდმივი კომისიების მუშაობა და უზრუნველყონ საექიმო პუნქტების, სკოლების, კლუბების, სამკითხველოების მუშაობის გაუმჯობესება, დასახლებული პუნქტების კეთილმოწყობა, მათი განწვეანება, გზებისა და ხიდების შეკეთება;

ვ) სასოფლო საბჭოების აღმასკომებმა განსაკუთრებული ყურადღებით და დაწესებულ ვადებში განიხილონ მშრომელთა განცხადებები და საჩივრები, ზუსტად აწარმოონ შემოსული განცხადებების აღრიცხვა და კონტროლი, რათა ყოველ განცხადებაზე დროულად იქნეს გაცემული ამომწურავი პასუხი;

ზ) სისტემატურად მოახდინონ საბჭოების სესიებზე და აღმასკომის სხდომებზე მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების შემოწმება და შემოწმების შედეგები მოისმინონ სესიების და აღმასკომების სხდომებზე.

2. დაევალოს ზუგდიდის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომს:

ა) გააუმჯობესოს ხელმძღვანელობა სასოფლო საბჭოების მუშაობაზე, პერიოდულად შეამოწმოს და მოისმინოს მათი მოხსენებები საბჭოს მიერ გატარებულ სამეურნეო და კულტურულ მუშაობის საკითხებზე და ამომრჩეველთა განაწესების შესრულებაზე;

ბ) არ დაუშვას სასოფლო საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეების და მდივნების შეცვლა არადეპუტატებით;

გ) გააუქმოს ნარაზენის და ინგირის სასოფლო საბჭოების აღმასკომების გადაწყვეტილებები დეპუტატ ა. შაპოშნიკოვას და დ. კიტას გამოყვანის შესახებ აღმასკომის შემადგენლობიდან და ეს საკითხები შეტანილ იქნას სათანადო საბჭოს სესიის განსახილველად.

3. დაევალოს ზუგდიდის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომს (ამხ. გ. მიქაეა) მიმდინარე წლის 30 აპრილისათვის წარმოუდგო-

ნოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს მოხსენება ამ დადგენილების შესრულების შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. ჩუბინიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი თ. კვლივიძე.

ქ. თბილისი.
1954 წ. 27 თებერვალი.

21. მრავალშვილიანი დედების დასაჯილდოებლად წარდგენისა და მათთვის ორდენებისა და მედლების ჩაბარების მდგომარეობის შესახებ საქართველოს სსრ რესპუბლიკაში

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში აღნიშნავს, რომ „ორსული ქალებისათვის, მრავალშვილიანი და მარტოხელა დედებისათვის სახელმწიფო დახმარების გადიდების, დედისა და ბავშვის დაცვის გაძლიერების, „გმირი დედის“ საპატიო წოდების, „სახელოვანი დედის“ ორდენისა და „დედობის მედლის“ მედლის დაწესების შესახებ „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 3 ივლისის ბრძანებულების მიღებიდან 1954 წლის 1 იანვრამდე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დააჯილდოვა 68.653 მრავალშვილიანი დედა, აქედან 829 მრავალშვილიანი დედა, რომელთაც შობეს და აღზარდეს 10 და მეტი შვილი, მიენიჭათ „გმირი დედის“ საპატიო წოდება. მრავალშვილიანი და მარტოხელა დედებს მიეცათ სახელმწიფო დახმარება 610.068 ათასი მანეთის რაოდენობით.

ამასთან ერთად, მრავალშვილიანი დედების დასაჯილდოებლად წარდგენისა და მათთვის ორდენებისა და მედლების ჩაბარების საქმეში საქართველოს სსრ რესპუბლიკაში ჯერ კიდევ ადგილი აქვს მთელ რიგ ნაკლოვანებებს.

1954 წლის 1 იანვრისათვის დაუჯილდოებელი დარჩა 9.446 მრავალშვილიანი დედა.

საქართველოს სსრ ადგილობრივი საბჭოების აღმასკომები არასაკმარის შრომას ეწევიან დასაჯილდოებელი მრავალშვილიანი დედების გამოსავლენებლად, დაგვიანებით აფორმებენ და გზავნიან მასალებს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში მათ დასაჯილდოებლად. განსაკუთრებით ცუდი მდგომარეობაა ამ მხრივ ახალქალაქის რაიონში, სადაც 1954 წლის 1 იანვრისათვის დაუჯილდოებელი დარჩა 368 მრავალშვილიანი დედა, ქიათურის რაიონში—218 დედა, ლაგოდეხის რაიონში — 230 დედა. ანალოგიურ მდგომარეობას ადგილი აქვს ჩხოროწყუს, წყალტუბოს, წალკის, ქუთაისის და სხვა რაიონებში.

რიგ რაიონში მრავალშვილიანი დედების დასაჯილდოებლად წარდგენას აკიანურებენ წლების განმავლობაში. ასე მაგალითად, ქიათურის რაიონიდან დღესაც არ წარმოუდგენიათ დასაჯილდოებლად 1950, 1951, 1952 და 1953 წლებში დასაჯილდოებელი მრავალშვილიანი დედები. ასეთივე მდგომარეობას ადგილი აქვს ქ. სტალინირში, საჩხერის, ქუთაისის, სტალინირის, ყაზბეგის და სხვა რაიონებში.

მიუხედავად მითითებისა, ონის რაისაბჭოს აღმასკომმა მრავალშვილიანი დედის ნ. ფ. დავითაშვილისათვის „გმირი დედის“ საპატიო წოდების მისანიჭებლად საჭირო საბუთები წარმოადგინა მიმდინარე წლის თებერვალში, მაშინ, როცა აღნიშნული დედა დაჯილდოებული უნდა ყოფილიყო ჯერ კიდევ 1950 წელში. ასეთივე ფაქტებს ადგილი აქვს ახალქალაქის, თეთრიწყაროს და ლანჩხუთის რაიონებში. ადგილი აქვს ერთი და იგივე დედის ერთნაირ ჯილდოზე ორჯერ წარდგენის შემთხვევებსაც.

ადგილობრივი ორგანოები უყურადღებოდ ეკიდებიან მრავალშვილიანი დედების საქმეების გაფორმებას, რის შედეგადაც წარმოდგენილ საქმეებში ხშირად არაა ყველა საჭირო საბუთი, დამახინჯებულია დასაჯილდოებელი დედის გვარი, სახელი, მამის სახელი, აკლია ხელმოწერა, ან არ არის შემოწმებული ბეჭდის დასმით და სხვა, რაც იწვევს მრავალშვილიანი დედების დაჯილდოების გაკვიანურებას.

არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია დაჯილდოებულ მრავალშვილიანი დედებისათვის ჯილდოების ჩაბარების საქმე. 1953 წელში დაჯილდოებულ 3.901 დედიდან ჯილდო დღემდე არ ჩაუბარებიათ 960 დედისათვის.

აღნიშნულ ნაკლოვანებათა ერთერთი მთავარი მიზეზი ის არის, რომ ბევრმა რაიონულმა და საქალაქო საბჭოს აღმასკომმა, აგრეთვე მრავალშვილიანი და მარტოხელა დედების სახელმწიფო დახმარების განყოფილებამ შეანელა უყურადღებო მრავალშვილიანი დედების დასაჯილდოებლად წარდგენისა და მათთვის ჯილდოების ჩაბარების საქმისადმი; ისინი არ ატარებენ მოსახლეობაში ახსნაგანმარტებით მუშაობას იმ ღონისძიებათა მნიშვნელობის შესახებ, რომელიც გათვალისწინებულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 8 ივლისის ბრძანებულებით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. დაევალოს სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომს და საქართველოს სსრ რაიონულ და საქალაქო საბჭოების აღმასკომებს:

ა) შეამოწმონ და განიხილონ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების სხდომებზე ჯილდოზე წარსადგენი მრავალშვილიანი დედების აღრიცხვისა და საჭირო საბუთების გაფორმების მდგომარეობა რაიონულ, საქალაქო, სადაბო და სასოფლო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებში და მიიღონ საჭირო ზომები გამოვლინებულ ნაკლოვანებათა სალიკვიდაციოდ; მიღებული ზომების შესახებ მოახსენონ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს მიმდინარე წლის 1 მაისისათვის;

ბ) დროულად განიხილონ სასოფლო და სადაბო საბჭოებიდან მათთან წარდგენილი დასაჯილდოებელი მრავალშვილიანი დედების საქმეები და გადმოგზავნონ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში განსახილველად; არ დაუშვან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სამდივნოს ინსტრუქციის დამახინჯება „გმირი დედის“ საპატიო წოდების მისანიჭებლად და „სახელოვანი დედის“ ორდენითა და „დედობის მედლის“ მედლით დასაჯილდოებლად წარდგენის და ამ ორდენების ჩაბარების წესის შესახებ;

უზრუნველყონ დასაჯილდოებლად წარსადგენ დედების საბუთების ხარისხიანად გაფორმება;

გ) პერიოდულად ჩაატარონ საინსტრუქტაჟო თათბირები რაიონული, საქალაქო, სადაბო და სასოფლო საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეებ-

თან, მდივნებთან და მრავალშვილიანი და მარტოხელა დედების სახელმწიფო დახმარების განყოფილების მუშაკებთან მრავალშვილიანი დედების დასაჯილდოებლად წარდგენის წესის შესახებ;

დ) ერთი თვის ვადაში ჩაბარონ დღემდე ჩაუბარებელი ჯილდოები მრავალშვილიან დედებს და არ დაუშვან მომავალში ჯილდოების დაგვიანებით ჩაბარება; დროზე გამოუგზავნონ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს ჯილდოების ჩაბარების ოქმები.

2. ერჩიოს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებს შეამოწმონ და განიხილონ მრავალშვილიანი დედების დასაჯილდოებლად წარდგენისა და მათთვის ორდენებისა და მედლების ჩაბარების წდგომარეობა ავტონომიურ რესპუბლიკებში და გაატარონ საჭირო ღონისძიებანი გამოვლინებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

3. დაევალოს საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს (ამხ. ბ. ჩხეიძე) სისტემატური დახმარება აღმოუჩინოს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომს, საქართველოს სსრ რაიონულ და საქალაქო საბჭოების აღმასკომებს, მრავალშვილიანი დედების აღრიცხვისა და დასაჯილდოებლად დროულად წარდგენის საქმეში.

4. დაევალოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის და-ჯილდოებულთა აღრიცხვისა და რეგისტრაციის განყოფილებას (ამხ. გ. ჩარქიშვილი) თვალყური ადევნოს ამ დადგენილების შესრულებას და შესრულების შედეგებზე მოახსენოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს 1954 წლის 1 ივნისისათვის.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **მ. ჩუბინიძე**.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **თ. ქვლივიძე**.

ქ. თბილისი.

1954 წ. 27 თებერვალი.

22. ბრძანებულება ა. ს. გრიბოედოვის სახელობის თბილისის სახელმწიფო რუსული დრამატული თეატრის მუშაკათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ა. ს. გრიბოედოვის სახელობის თბილისის სახელმწიფო რუსული დრამატული თეატრის ოცი წლისათვის დაკავშირებით, თეატრალური ხელოვნების განვითარების საქმეში თვალსაჩინო დამსახურებისათვის მიენიჭოთ საპატიო წოდება:

საქართველოს სსრ სახალხო არტისტისა:

1. დობენსკის კონსტანტინე — საქართველოს სსრ დამსახურებულ არ-
ანდრეას-ძეს ტისტს
2. სლავინ-კუცინს — უკრაინის სსრ დამსახურებულ არტისტს.
დანიელ გრიგოლის-ძეს

საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტისა:

1. ბელოუსოვას თამარ — მსახიობს
ვასილის ასულს
2. ბურმისტროვას ნატალია — მსახიობს
მიხეილის ასულს
3. ზლობინს იგორ — მსახიობს
ივანეს-ძეს
4. იანოვსკაიას კლემოპატრა — მსახიობს
ალექსანდრეს ასულს
5. ქებაძეს მარიამ — მსახიობს
სპირიდონის ასულს
6. ლემმერგარდტს (მიუსარ-
ვიკენტიევას) ალექსანდრა — მსახიობს
თევდორეს ასულს
7. მაქსიმოვას იადვიგა — უკრაინის სსრ დამსახურებულ არტისტს
იოსების ასულს
8. რუსინოვს ივანე — მსახიობს
ნიკოლოზის-ძეს
9. შმელიოვს ალექსანდრე — მსახიობს.
ლავრენტის-ძეს

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. ჩუბინიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი თ. ქვლივიძე.

ქ. თბილისი.

1954 წ. 27 თებერვალი.

შპ. ბრძანებულება ა. ს. გრიბოედოვის სახელობის თბილისის სახელმწიფო
რუსული დრამატული თეატრის მუშაკების დაჯილდოების შესახებ საქარ-
თველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით

ა. ს. გრიბოედოვის სახელობის თბილისის სახელმწიფო რუსული დრა-
მატული თეატრის ოცი წლისთავთან დაკავშირებით დაჯილდოვდნენ საქარ-
თველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით:

1. ალექსანდროვი ალექსანდრე — სადადგმო ნაწილის გამგე
იაკობის-ძე
2. ალბოვსკი ევგენი — ელექტროსაამქროს გამგე
პავლეს-ძე
3. ბურდენი ანა — უფროსი მკერავი
გიორგის ასული
4. გევენიან ჰაიკ — მთავარი ადმინისტრატორი
სერგის-ძე
5. გრუდზინსკაია ნინო — გარდერობის გამგე
გიორგის ასული

- | | |
|---|---|
| 6. ვოლინეცი გრიგოლ
სავას-ძე | — მსახიობი |
| 7. ზაგორსკი ალექსანდრე
ვასილის-ძე | — საქართველოს სსრ სახალხო არტისტი |
| 8. ზახაროვა ვალენტინა
ნიკოლოზის ასული | — საქართველოს სსრ დამსახურებული არ-
ტისტი |
| 9. თუმანოვა სოფიო
კონსტანტინეს ასული | — კონცერტმეისტერი |
| 10. ივანოვა-გრდინა ლუდმილა
ვლადიმერის ასული | — ბუხჰალტერი |
| 11. კერჟენევიჩი ემანუილ
ისაკის-ძე | — მსახიობი |
| 12. კუბარევი სიმონ
პეტრეს-ძე | — რეჟისორის თანაშემწე |
| 13. ლუსპეკაევი პავლე
ბორისის-ძე | — მსახიობი |
| 14. ლიუბარსკი იაკობ
ეჭვთიმეს-ძე | — მსახიობი |
| 15. მალოვი ლეონიდ
საჰუილის-ძე | — მსახიობი |
| 16. მარტინოვი ივანე
სტეფანეს-ძე | — სცენის მუშების ბრიგადირი |
| 17. პადრინი პავლე
ელისეს-ძე | — სახანძრო დაცვის უფროსი |
| 18. პაპაიანი ქნარიკ
სარქისის ასული | — უფროსი გრიმიორი |
| 19. რატოვი-ცეიმი სოლომონ
დავითის-ძე | — მსახიობი |
| 20. როდონოვი ივანე
ვასილის-ძე | — მოკარნახე |
| 21. სატინა-სურგუნოვა ეკატე-
რინე ალექსანდრეს ასული | — საქართველოს სსრ სახალხო არტისტი |
| 22. სმირანინი ანატოლი
დიმიტრის-ძე | — საქართველოს სსრ სახალხო არტისტი |
| 23. ოზიდკო-სმირნოვა ანტო-
ნინა დანიელის ასული | — საქართველოს სსრ დამსახურებული არ-
ტისტი |
| 24. სპერანსკაია ნადეჟდა
სიმონის ასული | — საქართველოს სსრ დამსახურებული არ-
ტისტი |
| 25. ღვინიაშვილი გაბრიელ
გაბრიელის-ძე | — რეჟისორი, საქართველოს სსრ ხელოვნე-
ბის დამსახურებული მოღვაწე |
| 26. შენდეროვი თევდორე
ნიკოლოზის-ძე | — დირექტორის მოადგილე |

27. ცემ-ციმოვი ევგენი — მსახიობი
დავითის-ძე
28. ხანდრამილოვა ევგენია — დამლაგებელი.
სერგის ასული

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. ჩუბინიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი თ. ქვლივიძე.

ქ. თბილისი.

1954 წ. 27 თებერვალი.

24. ბრძანებულება სახალხო მოსამართლის თანამდებობისაგან ი. მ. სიორიძის გამოწვევისა და ქ. თბილისის ლენინის სახელობის რაიონის პირველი უბნის სახალხო სასამართლოს საარჩევნო ოლქში არჩევნების დანიშვნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. ივანე მიხეილის-ძე სიორიძე მოსამართლისათვის შეუფერებელი საქციელისათვის გამოწვეულ იქნას ქალაქ თბილისის ლენინის სახელობის რაიონის პირველი უბნის სახალხო სასამართლოს მოსამართლის თანამდებობისაგან.

2. სახალხო მოსამართლის ვადაზე ადრე გასვლის გამო „საქართველოს სსრ სახალხო სასამართლოების არჩევნების დებულების“ 65 მუხლის შესაბამისად, ჩატარდეს ქალაქ თბილისის ლენინის სახელობის რაიონის პირველი უბნის სახალხო სასამართლოს საარჩევნო ოლქში სახალხო მოსამართლის არჩევნები 1954 წლის 18 აპრილს.

3. დაევალოს ქალაქ თბილისის ლენინის სახელობის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს სახალხო მოსამართლის არჩევნების ჩატარებისას იხელმძღვანელოს „საქართველოს სსრ სახალხო სასამართლოების არჩევნების დებულებით“ და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1949 წლის 31 აგვისტოს ბრძანებულებით „უფლებამოსილების ვადამდე გასული სახალხო მოსამართლის მაგიერ სახალხო მოსამართლის არჩევნების ჩატარების ვადების შესახებ“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. ჩუბინიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი თ. ქვლივიძე.

ქ. თბილისი.

1954 წ. 27 თებერვალი.

25. ბრძანებულება ამხ. მ. პ. გიორგაძის განთავისუფლების შესახებ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილისა და საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის თანამდებობისაგან

განთავისუფლდეს ამხ. მიხეილ პორფილეს-ძე გიორგაძე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილისა და საქართვე-

ლოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის თანამდებობისაგან, მისი სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის
თავმჯდომარე მ. ჩუბინიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი თ. ქვლივიძე.

ქ. თბილისი.
1954 წ. 5 მარტი.

26. ბრძანებულება ანხ. გ. გ. თვალჭრელიძის დანიშვნის შესახებ საქართველოს სსრ სახელმწიფო კონტროლის მინისტრად

დანიშნოს ანხ. გიორგი გრიგოლის-ძე თვალჭრელიძე საქართველოს სსრ სახელმწიფო კონტროლის მინისტრად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის
თავმჯდომარე მ. ჩუბინიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი თ. ქვლივიძე.

ქ. თბილისი.
1954 წ. 5 მარტი.

27. ბრძანებულება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული შრომითი რეზერვების მთავარსამმართველოს თბილისის სამსხმელო-მექანიკური ქარხნისათვის კამოს სახელის მიკუთვნების შესახებ

მიეკუთვნოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული შრომითი-რეზერვების მთავარსამმართველოს თბილისის სამსხმელო-მექანიკურ ქარხანას კამოს (ტერ-პეტროსიანი) სახელი და ამიერიდან ეწოდოს „კამოს სახელობის თბილისის სამსხმელო-მექანიკური ქარხანა“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის
თავმჯდომარე მ. ჩუბინიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი თ. ქვლივიძე.

ქ. თბილისი.
1954 წ. 25 მარტი.

28. ბრძანებულება ვ. პ. დოლენკოსათვის საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

დაბადებიდან 75 წლის შესრულებასთან დაკავშირებით, მუსიკალური კულტურისა და პედაგოგიური მოღვაწეობის დარგში დამსახურებისათვის მიენიჭოს ვასილ პეტრეს-ძე დოლენკოს საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის
თავმჯდომარე მ. ჩუბინიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი თ. ქვლივიძე.

ქ. თბილისი.
1954 წ. 30 მარტი.

29. ბრძანებულება ლაჯანურის, ტყიბულის, გუმათის ჰიდროელექტროსადგურებისა და სიონის წყალსაცავის მშენებლობების დასახლებული პუნქტების მუშათა დასახლების კატეგორიაზე მიკუთვნების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

მიეკუთვნოს მუშათა დასახლების კატეგორიას შემდეგი დასახლებული პუნქტები:

ცაგერის რაიონის სოფელ ლაჯანასთან ლაჯანურის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის დასახლებული პუნქტი და ეწოდოს მას—ცენტრალური მუშათა დასახლება ლაჯანურჭესი;

სოფელ აქარასთან ლაჯანურის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის დასახლებული პუნქტი და ეწოდოს მას—მუშათა დასახლება ლაჯანურჭესი;

ქუთაისის რაიონის სოფელ რიონსა და ჯიმასტაროს შუა გუმათის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის დასახლებული პუნქტი და ეწოდოს მას—მუშათა დასახლება გუმათჭესი;

თერჯოლის რაიონის სოფელ ძეგრთან და წინწყილას მიდამოსთან ტყიბულის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის დასახლებული პუნქტი და ეწოდოს მას—მუშათა დასახლება ტყიბულჭესი;

თიანეთის რაიონის სოფელ სიონთან სიონის წყალსაცავის მშენებლობის დასახლებული პუნქტი და ეწოდოს მას—მუშათა დასახლება სიონმშენი;

ცაგერის რაიონის სოფელ ჩხუტელთან არსებული ლაჯანურის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის დასახლებული პუნქტი შეუერთდეს დაბა ცაგერს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის

თავმჯდომარე მ. ჩუბინიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს

პრეზიდიუმის მდივანი თ. ქვლივიძე.

ქ. თბილისი.

1954 წ. 30 მარტი.

30. ბრძანებულება მახარაძის რაიონის მაკვანეთის სასოფლო საბჭოდან ანანსეულის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დასახლებული პუნქტისა და სოფელი ექადიის გამოყოფის და მახარაძის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოზე მათი აღმინისტრაციულად დაქვემდებარების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

გამოეყოს მახარაძის რაიონის მაკვანეთის სასოფლო საბჭოს ანანსეულის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დასახლებული პუნქტი და სოფელი ექადია და აღმინისტრაციულად დაექვემდებარონ მახარაძის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის

თავმჯდომარე მ. ჩუბინიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს

პრეზიდიუმის მდივანი თ. ქვლივიძე.

ქ. თბილისი.

1954 წ. 30 მარტი.

31. ბრძანებულება საქართველოს სსრ ხობის რაიონის ზოგიერთი დასახლების სოფლების ჯგუფზე მიკუთვნებისა და სახელწოდების მიცემის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

მიეკუთვნონ სოფლების ჯგუფს:

ა) ხობის რაიონის პირველი ხორგის სასოფლო საბჭოს „დასახლების უბანი № 5“ და ეწოდოს სოფელი ახალსოფელი;

ბ) ქვემო ქვალონის სასოფლო საბჭოს „დასახლების უბანი № 7“ და ეწოდოს სოფელი განთიადი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის
თავმჯდომარე მ. ჩუბინიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი თ. ქვლივიძე.

ქ. თბილისი.

1954 წ. 30 მარტი.

32. ბრძანებულება საქართველოს სსრ გარდაბნის რაიონის სამშენებლო უბნის № 1 დასახლების სოფლების ჯგუფზე მიკუთვნებისა და გამარჯვების სასოფლო საბჭოს შექმნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

მიეკუთვნოს გარდაბნის რაიონის სამშენებლო უბნის № 1 დასახლება სოფლების ჯგუფს და ეწოდოს სოფელი გამარჯვება.

გამოეყოს სოფელი გამარჯვება აღთაღლის სასოფლო საბჭოს და შეიქმნას გამარჯვების სასოფლო საბჭო.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. ჩუბინიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი თ. ქვლივიძე.

ქ. თბილისი.

1954 წ. 30 მარტი.

33. ბრძანებულება იმ პირთა დაჯილდოების შესახებ, რომლებმაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ქ. თბილისში მდინარე მტკვარზე დიდუბის ხიდის მშენებლობის საქმეში

ქალაქ თბილისში მდინარე მტკვარზე დიდუბის ხიდის მშენებლობის საქმეში მთავრობის დავალების წარმატებით შესრულებისათვის დაჯილდოვდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით:

1. აბრამიანი ლევან ამიაკის-ძე — შოფერი
2. ბეჭაური ალექსი ადამის-ძე — სამუშაოთა მწარმოებელი
3. ბერაია ოთარ ტარიელის-ძე — ტრესტ „საქნავთის“ ინჟინერ-გეოლოგი
4. გოგორიშვილი კონსტანტინე — სამუშაოთა მწარმოებელი მიხეილის-ძე

5. გორდუზიანი ნოე ბიკენტის-ძე — ტექნიკოსი
6. დიდიძე კონსტანტინე — პროექტის ავტორი
სამსონის-ძე
7. ენუქიძე ბორის რაქუნის-ძე — ტექნიკოსი
8. კიზირია გივი ბათლომეს-ძე — ინჟინერ-დამპროექტებელი
9. ლომიძე მიხეილ ვარლამის-ძე — სამუშაოთა მწარმოებელი
10. ლიხოვიძე ივანე ფილიპეს-ძე — შოფერი
11. მალრაძე პავლე ლუარსაბის-ძე — მშენებლობის მთავარი ინჟინერი
12. მარკოსიანი რუბენ — ელექტრომექანიკოსი
მკრტიჩის-ძე
13. მებისერ ბორის — სარემონტო-მექანიკური სახელოსნოების
ნიკოლოზის-ძე უფროსი
14. მიხაილენკო პეტრე — ქვის მთლელი
ვასილის-ძე
15. ნიკიშინი მიტროფანე — ბრიგადირი
მიხეილის-ძე
16. პოპოვი ივანე სტეფანეს-ძე — შოფერი
17. პეპანაშვილი გიორგი — მქედელი
ივანეს-ძე
18. ყორჯოლიანი ნოდარ — ინჟინერი-დამპროექტებელი
დავითის-ძე
19. ყურკინი პეტრე — ინჟინერი
ვასილის-ძე
20. რეკის დავით პინკუსის-ძე — უფროსი ინჟინერი
21. რობიტაშვილი გიორგი — საქართველოს სსრ გზატკეცილების სამ-
ვლადიმერის-ძე მართველოს უფროსი
22. რუხაძე ანა სილოვანის — უფროსი ლაბორანტი
ასული
23. სარაბატუნოვი ალექსანდრე — მთავარი მექანიკოსი
დავითის-ძე
24. ტროფიმოვი ვალენტინ — გზათა მშენებლობის მთავარი სამმართვე-
მიხეილის-ძე ლოს უფროსი ინჟინერი
25. ფატევი ივანე სერგოს-ძე — ხარატი
26. ქურდიანი არჩილ — პროექტის არქიტექტურული ნაწილის
გრიგოლის-ძე ავტორი
27. შალიკაშვილი შოთა — მშენებლობის უფროსი
ვლადიმერის-ძე
28. შირიაევი ვახტანგ — სამუშაოთა მწარმოებელი
მიხეილის-ძე
29. ცარენკო მიხეილ დემიდის-ძე — ქვის მთლელი
30. ჯობავა რაულ ზინოვის-ძე — სამუშაოთა მწარმოებელი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს

პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. ჩუბინიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს

პრეზიდიუმის მდივანი თ. ქვლივიძე.

ქ. თბილისი.

1954 წ. 30 მარტი.

34. კანონმდებლობათა ცნობარის გამოცემის შესახებ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებისათვის

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. დაევალოს საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს (ამხ. ვ. მამალაძე) 1955 წლის პირველ იანვრამდე მოამზადოს გამოსაცემად კანონმდებლობათა ცნობარი მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებისათვის.

2. კანონმდებლობათა ცნობარის გამოსაცემად გამოიყოს სარედაქციო კომისია შემდეგი შემადგენლობით: თ. ქვლივიძე (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი); ვ. მამალაძე (საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრი); მ. თოფურაძე (საქართველოს სსრ პროკურორი); ი. დოლიძე (საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე); ბ. ფურცხვანიძე (სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან) და ი. პავლიაშვილი (საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს იურიდიული განყოფილების უფროსი კონსულტანტი). დაევალოს აღნიშნულ კომისიას 1955 წლის პირველ მარტამდე გაუკეთოს კანონმდებლობათა ცნობარს რედაქცია და წარმოუდგინოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს.

3. დაევალოს საქართველოს სსრ სამინისტროებს და საუწყებო ორგანიზაციებს აღმოუჩინონ ყოველგვარი დახმარება საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს კანონმდებლობათა ცნობარის გამოცემის საქმეში.

4. დაევალოს საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს (ამხ. მამალაძე) მიმდინარე წლის 20 აპრილამდე შეადგინოს კანონმდებლობათა ცნობარის გამოსაცემად საჭირო თანხების ხარჯთაღრიცხვა და წარმოუდგინოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. ჩუბინიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი თ. ქვლივიძე.

ქ. თბილისი.
1954 წ. 30 მარტი.

35. ყვარლის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა კანონიერების შესახებ

მოისმინა რა ყვარლის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის ამა. მ. დავითაშვილის მოხსენება და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის იურიდიული განყოფილების უფროსის ამხ. ა. ჩიქვანიას თანამოხსენება ყვარლის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა კანონიერების შესახებ, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ ყვარლის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის მიერ მიღებული გადაწყვეტილებანი ძირითადად შეესაბამებიან მოქმედ კანონმდებლობას.

მიუხედავად ამისა, ყვარლის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის მიერ ზოგიერთ შემთხვევაში მიღებულია არასწორი გადაწყვეტილებანი: 1953 წლის 25 სექტემბერს აღმასკომმა გარიცხა კოლმეურნეო-

ბიდან გ. ს. გიგოლაშვილი და ნ. ა. ხაჯალია შრომის დისციპლინის დარღვევისათვის, აღნიშნული გადაწყვეტილებები ეწინააღმდეგებინ სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ც. კ. 1938 წლის 19 აპრილის დადგენილებას „კოლმეურნეობიდან კოლმეურნეთა გარიცხვის აკრძალვის შესახებ“.

აღმასკომის მიერ გამოტანილია გადაწყვეტილებანი კოლმეურნეობიდან გარიცხულ პირთა საკარმიდამო ნაკვეთების ჩამორთმევის შესახებ, რაც ეწინააღმდეგება სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ც. კ. 1939 წლის 28 ივლისის „მუშების და მოსამსახურეების, სოფლის მასწავლებლების, აგრონომების და არაკოლმეურნეთა საკარმიდამო ნაკვეთების შესახებ, რომლებიც სოფლის ადგილებზე ცხოვრობენ“ დადგენილების მეორე მუხლს.

ყვარლის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებებით დადებული აქვთ სასჯელი კოლმეურნეობების თავმჯდომარეებს და საზოგადოებრივ ურთიერთდამხმარე სალაროების გამგეობის თავმჯდომარეებს, რაც ეწინააღმდეგება „სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების“ მე-17 მუხლს.

1953 წლის 15 სექტემბერს მშრომელთა დეპუტატების საბჭოს რაიონულმა აღმასკომმა ახალსოფლის საბჭოს მუშაობის შესახებ საკითხის განხილვის შედეგად მიიღო გადაწყვეტილება ახალსოფლის საბჭოში დაგროვილი განცხადებებისა და საჩივრების განსახილველად სპეციალური კომისიის გამოყოფის შესახებ. აღნიშნული გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1935 წლის 14 დეკემბრის დადგენილებას „მშრომელთა საჩივრების განხილვის საქმის მდგომარეობის შესახებ“.

ყვარლის რაიონის სოფელ ახალსოფლის სასოფლო საბჭოს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს 1953 წლის 8 აგვისტოს კანონის „სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ“ ვატარების საქმეში აქვს სერიოზული დარღვევები. ადგილი აქვს გადასახადის არასწორად შეწერის შემთხვევებს. სოფელ ახალსოფლის მოსახლეობიდან რაიონის ფინგანში 1953 წლის მხოლოდ მეოთხე კვარტალში შემოსული იყო 104 განცხადება და საჩივარი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის არასწორად შეწერის შესახებ, შემოსული საჩივრების განხილვის შედეგად ნაწილი განმცხადებლებისა მთლიანად განთავისუფლდნენ გადასახადისაგან, დანარჩენს კი საგრძნობლად შეუმცირდა გადასახდელი თანხა.

ყვარლის რაიონის აღმასკომმა ვერ უზრუნველყო „სავალდებულო გადაწყვეტილებათა გამოცემისა ამ გადაწყვეტილებათა დარღვევისათვის პასუხისმგებლობის შესახებ“ სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წლის 17 სექტემბრის დადგენილების შესრულება, რის შედეგადაც მთელი წლის მანძილზე ჯარიმის დადებისა და გადახდევინების არც ერთ შემთხვევას ადგილი არ ქონია.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. დაევალოს მშრომელთა დეპუტატების ყვარლის რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს ანხ. მ. დ. დავითაშვილს უზრუნველყოს მოქმედი კანონმდებლობით რაიონული აღმასკომის განყოფილებები და სოფლის საბჭოები.

2. უწყებები № 2.

2. მშრომელთა დეპუტატების ყვარლის რაიონულ საბჭოს აღმასკომთან სახელმწიფო ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების მუშაკთათვის შექმნას სემინარი კანონმდებლობათა შესწავლისათვის.

3. გააუქმოს მშრომელთა დეპუტატების საბჭოს რაიონული აღმასკომის მიერ მიღებული არასწორი გადაწყვეტილებები და შემდეგში არ დაუშვას კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილებების მიღება.

4. შეამოწმოს და განიხილოს მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის სხდომაზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს 1953 წლის 8 აგვისტოს კანონი „სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ“ შესრულების მიმდინარეობა და დასახოს სათანადო ღონისძიებანი აღნიშნული კანონის განუხრელად გატარებისათვის.

5. დაევალოს მშრომელთა დეპუტატების ყვარლის რაიონული საბჭოს აღმასკომს (ამხ. მ. დ. დავითაშვილი) მიმდინარე წლის 1 ივნისისათვის წარმოუდგინოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს მოხსენება ამ დადგენილების შესრულების შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. ჩუბინიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი თ. ქვლივიძე.

ქ. თბილისი.
1954 წ. 30 მარტი.

36. ქარელის, თეთრიწყაროს და საგარეჯოს რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების მუდმივი კომისიების მუშაობის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ ქარელის, თეთრიწყაროს და საგარეჯოს რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების მუდმივი კომისიების მუშაობაში ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებს. მუდმივი კომისიების მუშაობაში ჩაბმული არ არის საბჭოს ყველა დეპუტატი; საგარეჯოს რაიონული საბჭოს მ დეპუტატი არ მუშაობს არცერთ კომისიაში; საბჭოების სესიებზე არ არის მოსმენილი მუდმივი კომისიების მუშაობის ანგარიში; მუდმივი კომისიები ნაკლებად იზიდავენ მუშაობაში რაიონის მოსახლეობას.

იმის შედეგად, რომ მუდმივი კომისიის ზოგიერთი წევრი არ იცნობს დებულებას, ადგილი აქვს მათ მიერ უფლებების გადაჭარბებას და არასწორი ღონისძიებების გატარებას; თეთრიწყაროს რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს ვაქრობის კომისიამ დაავალა აღმასკომის სავაქრო განყოფილების გამგეს შეემოწმებინა მალაზიების მუშაობა, რის უფლებაც კომისიას არ ჰქონდა; რაიონული საბჭოს სახალხო განათლების კომისიამ დასახა ღონისძიება, სადაბო და სასოფლო საბჭოებთან არსებული სახალხო განათლების მუდმივი კომისიების მუშაობის შესამოწმებლად, მაშინ როცა რაიონული საბჭოს მუდმივი კომისიას არ ექვემდებარებოდა სასოფლო და სადაბო საბჭოების მუდმივი კომისიები; საგარეჯოს რაისაბჭოს ჯანმრთელობის დაცვის კომისიამ სანიტარული წესების დარღვევისათვის დალუქა სასაუზმე.

ქარელის რაისაბჭოს მუდმივ კომისიებს არ აქვთ შედგენილი სამუშაო გეგმები და დღემდე არაერთი მუშაობა არ ჩატარებიათ. საგარეჯოს რაისაბჭოს საგზაო მშენებლობის და ჯანმრთელობის დაცვის კომისიების თავმჯდომარეებისა და მდივნების არჩევა კომისიების სხდომებზე არ მომხდარა და მოვალეობას კომისიის წევრები ასრულებენ აღმასკომის თავმჯდომარის დავალებით. საგარეჯოს რაისაბჭოს მუდმივი კომისიების სამუშაო გეგმები არ გამომდინარეობენ აღმასკომის სამუშაო გეგმიდან.

მუდმივი კომისიები არასაკმაო დახმარებას უწევენ აღმასკომებს მშრომელთა განცხადებებისა და საჩივრების შემოწმების საქმეში; კომისიებს არ უწარმოებიათ აღმასკომის სათანადო განყოფილებებისა, რაიონის წარმოება-დაწესებულებების და კოლმეურნობათა მუშაობის შემოწმება.

ქარელისა და საგარეჯოს მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომებს მუდმივი კომისიების თავმჯდომარეებთან და მდივნებთან არცერთი თათბირი და საუბარი არ ჩატარებიათ, მუდმივი კომისიების თავმჯდომარეები საბჭოს სესიებზე იშვიათად გამოდიან მოხსენებებით და არასაკმაომონაწილეობას ღებულობენ სესიების მუშაობაში; არ ხდება რაიონული საბჭოების მუდმივ კომისიებს შორის გამოცდილებათა გაზიარება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. დაევალოს ქარელის, თეთრიწყაროს და საგარეჯოს რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოებს განიხილონ მორიგ სესიებზე მუდმივი კომისიების მუშაობის საკითხი და მიიღონ საჭირო ზომები ნაკლოვანებების გამოსასწორებლად.

2. ერჩიეთ ქარელის, თეთრიწყაროს და საგარეჯოს რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების მუდმივ კომისიებს:

ა) მუშაობის სწორად წარმართვის მიზნით შეისწავლონ „მშრომელთა დეპუტატების საბჭოების მუდმივი კომისიების ღებულება“, შეადგინონ სამუშაო გეგმები და მიიღონ აქტიური მონაწილეობა საბჭოს განსახილველ საკითხების მომზადებაში;

ბ) რეგულარულად მოიწვიონ კომისიების სხდომები, განიხილონ საკითხები აღმასკომის სათანადო განყოფილების, რაიონის წარმოება-დაწესებულებების და კოლმეურნობათა მუშაობის შესახებ და გაატარონ სათანადო ღონისძიებები გამოვლინებული ნაკლოვანებების გამოსასწორებლად;

გ) თვალყური ადევნონ და ხელი შეუწყონ საბჭოსა და მისი აღმასკომის მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებათა შესრულებას.

3. დაევალოს ქარელის, თეთრიწყაროს და საგარეჯოს რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს (ამხ. ამხ. ი. ნოზაძე, ი. ჩიმახაშვილი, მ. გოგიტაშვილი):

ა) ყოველგვარი დახმარება გაუწიონ მუდმივ კომისიებს მუშაობის გაუმჯობესებისათვის;

ბ) გააცნონ მუდმივ კომისიებს აღმასკომის სამუშაო გეგმა და დაეხმარონ მათ სამუშაო გეგმების შედგენის საქმეში;

გ) ხელი შეუწყონ მუდმივი კომისიების გამოცდილებათა ურთიერთგაზიარებას;

დ) გამოაკვეყნონ ადგილობრივ გაზეთებში მასალები მუდმივი კომისიების მუშაობის შესახებ.

4. დაველოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის იუ-რიდიულ და საორგანიზაციო-საინსტრუქტორო განყოფილებებს (აბხ. აბხ. ა. ჩიქვანაია, ვ. ქუჩუკაშვილი) ორი თვის ვადაში უზრუნველყონ მუდმივი კომისიების დებულებების გადამუშავება და გამოსაცემად მომზადება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. ჩუბინიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი თ. ქვლივიძე.

ქ. თბილისი.
1954 წ. 30 მარტი.

მ7. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელის და საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა სიგელების ნიმუშების დამტკიცების შესახებ

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელის და საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა სიგელების წარმოდგენილი ნიმუშები.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. ჩუბინიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი თ. ქვლივიძე.

ქ. თბილისი.
1954 წ. 30 მარტი.

მ8. დაჯილდოებულის გ. დ. ჩუბინიძის შუამდგომლობა სსრ კავშირის მედლის წიგნაკის დუბლიკატის მიცემის შესახებ

ეხოვოს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მისცეს დაჯილდოებულ გიორგი დიმიტრის-ძე ჩუბინიძეს მედლის „შრომითი წარჩინებისათვის“ მოწმობის დუბლიკატი, ნაცვლად დაკარგულისა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. ჩუბინიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი თ. ქვლივიძე.

ქ. თბილისი.
1954 წ. 30 მარტი.

მ9. დაჯილდოებულის ნ. უ. გულუას შუამდგომლობა ლენინის ორდენის დუბლიკატის მიცემის შესახებ

მიიღო რა მხედველობაში დაჯილდოებულ ნესტორ უტუხს-ძე გულუას წელთა ნამსახურობა და უმწიკვლო ღუშაობა სახალხო განათლების დარგში, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

დაკმაყოფილდეს ნ. უ. გულუას შუამდგომლობა და ეთხოვოს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მისცეს მას ლენინის ორდენის დუბლიკატი, ნაცვლად დაკარგულისა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. ჩუბინიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი თ. ქვლივიძე.

ქ. თბილისი.
